## ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

## ოქმი №2

ქ. ვანი 30 .. 09 ...... 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვარლამ შარაშენიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

მამუკა ნამიჭეიშვილი- გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, წევრი.

გიორგი ნამიჭეიშვილი - საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.

ბესარიონ ახვლედიანი - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, წევრი.

დავით გაბუნია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

ვანდა გიორგაძე- საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

*დღის წესრიგი:*

- *ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით*
- ზედავანის თემში მდინარე ჭიშურაზე დამცავი კედლის მოწყობა
- ამაღლების თემში მდინარე კვინისწყლის კალაპოტის გაწმენდა
- ამაღლების თემში კვინისწყალზე გაბიონის მოწყობა
- ზეინდრის თემში მდინარე ფერეთაზე გაბიონის მოწყობა
- სალხინოს თემში მდინარე სულორზე გაბიონის მოწყობა

*საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (ს/ნ 1362 24.09.2014წ.) შედეგების განხილვა.*

*მოისმინეს:* საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა ნამიჭეიშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიას აცნობა, რომ საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2014 წლის 29 სექტემბერი 15:00 სთ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა:

1. შპს „აი–ენ–ჯი"
2. ინდ. მეწარმე გიორგი ნატრიაშვილი

განიხილეს: კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტების გახსნის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

შპს „აი–ენ–ჯი"-მ მიიღო - 34,8 ქულა.

ინდ. მეწარმე გიორგი ნატრიაშვილმა მიიღო -39,2 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ - ვარლამ შარაშენიძემ.

კომისიის წევრებმა: ბესარიონ ახვლედიანმა, დავით გაბუნიამ.

დაადგინეს:

1) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (უ/ნ 1362 24.09.2014წ.) გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე „გიორგი ნატროშვილი"
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - გამარჯვებული გამოვლენილია.
3) საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ბესარიონ ახვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრები:

1. ვანდა გიორგაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ვანი 30. 09. 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 24 სექტემბერს გამოცხადებული (განცხადება უ/ნ 1362) კონკურსის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ბესარიონ ახვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრი:

1. ვანდა გიორგაძე